

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

ISSN 2346-8467

აგრარული
AGRO
АГРО
NEWS

№2

ქუთაისი – Kutaisi – Кутаиси
2016

ქურნალი წარმოადგენს
იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის კავშირისა და
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის
პერიოდულ-სამეცნიერო გამოცემას

სარედაქციო კოლეგია:

ლორთქიფანიძე როზა – (მთავარი რედაქტორი);

ავალიშვილი ნინო (სწავლული მდივანი);

წევრები: ურუშაძე თენგიზი; პაპუნიძე ვანო; შაფაკიძე ელგუჯა; ასათიანი რევაზი; კოპალიანი როლანდი; ჯაბნიძე რევაზი; კინწურაშვილი ქეთევანი; მიქელაძე ალექსანდრე; ჭაბუკიანი რანი; ქობალია ვახტანგი; ფრუიძე მაკვალა; ჩაჩხიანი-ანასაშვილი ნუნუ; დოლბაია თამარი; ყუბანეიშვილი მაია; კვლენჯერიძე ნინო; ყიფიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარი; კველიშვილი მანანა; ჩხიროძე დარეჯანი; ჯობავა ტრისტანი; წიქორიძე მამუკა; თავბერიძე სოსო; თაბაგარი მარიეტა; კილაძე რამაზი; მეტრეველი მარიამი; დვალაძე გულნარა; ნემსაძე მარიამი.

სარედაქციო კოლეგიის საზღვარგარეთის წევრები:

იოფე გრიგორი (აშშ); კავალიაუსკას ვიდასი (ლიტვა); ჩუხნო ინნა (უკრაინა); ბელოკონევა-შიუკაშვილი მარინა (პოლონეთი); გასანოვი ზაური (აზერბაიჯანი); მამმადოვი რამაზანი (თურქეთი); სანტროსიანი გაგიკი (სომხეთი); სალინდიყოვი ულტემურატი (ყაზახეთი).

The magazine is a periodical scientific publication of
Imereti Agro-ecological Association and
Akaki Tsereteli State University Faculty of Agrarian Studies.

EDITORIAL BOARD

Lortkipanidze Roza – (Editor in Chief);

Avalishvili Nino – (Academic Secretary);

Members: Urushadze Tengiz; Papunidze Vano; Shpakidze elguja; Asatiani Revaz; Kopaliani Roland; Jabnidze Revaz; Kintsurashvili Ketevan; Mikeladze Aleksandr; Chabukiani Rani; Qobalia Vaxtang; Fruidze Makvala; Chachkhiani-Anasashvili Nunu; Dolbaia Tamar; Kubaneishvili Maka; Kelendjeridze Nino; Kipiani Nino; xeladze Maia; Kilasonia Emzar; Kevlishvili Manana; Chxirodze Daredjan; Jobava Tristan; Tsiqoridze Mamuka; Tavberidze Coco; Tabagari Marieta; Kiladze Ramaz; Metreveli Mariami; Gvaladze Gulnara; Nemsadze Mariam.

FOREIGN MEMBERS OF EDITORIAL BOARD

Ioffe Grigory (USA); Kavaliauskas Vidas (Litva); Chuxno Inna (Ukraine); Belokoneva-Shiukashvili Marina (Poland); Gasanov Zaur (Azerbaijan); Mammadov Ramazan (Turkey); Santrosian Gagik (Armenia); Sagyndykov Ultemurat (Kazakhstan).

Журнал представляет
Периодическое научное издание
Союза агроэкологической ассоциации Имерети и
Аграрного Факультета Государственного Университета Акакия Церетели

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Лорткипанидзе Роза – (главный редактор);

Авалишвили Нино – (Ученый Секретарь);

Члены: Урушадзе Тенгиз; Папунидзе Вано; Шафакидзе Элгуджа; Асатиани Реваз; Копалиани Роланд; Джабнидзе Реваз; Кинцурашвили Кетеван; Микеладзе Александр; Чабукиани Рани; Кобалия Вахтанг; Пруидзе Маквала; Чачхиани-Анашавили Нуну; Долбая Тамар; Кубанеишвили Мака; Келенджеридзе Нино; Кипиани Нино; Хеладзе Маия; Киласония Эмзар; Кевлишвили Манана; Чхиродзе Дареджан; Джобавა Тристан; Цикоридзе Мамука; Тавберидзе Сосо; Табагари Мариета; Киладзе Рамаз; Метревели Мариам; Гваладзе Гульнара; Немсадзе Мариам.

ЗАРУБЕЖНЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Иоффе Григори (США); Кавалиаускас Видас (Литва); Чухно Инна (Украина); Белоконева-Шиукашвили Марина (Польша); Гасанов Заур (Азербайджан); Маммадов Рамазан (Турция); Сантросян Гагик (Армения); Сагиндиков Ултемурат (Казахстан)



შინაარსი

1 აგარული მეცნიერებანი
AGRICAL SCIENCES
АГРАРНЫЕ НАУКИ

როლანდ კოპალიანი, ვლადიმერ უგულავა, მარიეტა თაბაგარი,
 შორენა კაპანაძე – ლავანდი – უნიკალური მცენარე
 (დამამშვიდებელი და მკურნალი) _____ 9

**Roza Lortkipanidze, Nino Avalishvili – PRECIOUS AND COLORED GEMS’
 CONSERVING TECHNOLOGIES THROUGH IMITATION
 METHODS _____ 13**

გიორგი ნიკოლეიშვილი, ელგუჯა შაფაქიძე – მებაზრუშემობაში ინვესტიციების
 დაბანდება – ღარბის ალორძინების მნიშვნელოვანი ფაქტორია
 _____ 15

რეზო ჯაბნძე – სოფლის ცხოვრება პრიორიტეტი უნდა გახდეს _____ 20

ვახტანგ ქობალია – მანღარინის სელექციისათვის საწყისი მასალის
 ანალიზის შედეგები _____ 29

ემზარ გორდაძე, ცირა ჟორჟოლიანი – საქართველოს მცენარეთა სამყაროს
 მღვობარეობა, რაციონალური გამოყენებისა და დაცვის
 პრობლემები _____ 33

როზა ლორთქიფანიძე, ნოდარ ჩხარტიშვილი, ლევან შავაძე – ვაზის ფილოქსერა
 საქართველოში და მის წინააღმდეგ ბრძოლა ფილოქსერაბამბლე
 საძირე ვაზით _____ 38

მარიეტა თაბაგარი, შორენა კაპანაძე, ვლადიმერ უგულავა – ლურჯი მოცვის
 ჯიშების ფენოლოგიური ფაზების მიმდინარეობის შესწავლა
 სამებრელოს რეგიონის პირობებში _____ 45

ლეილა ბაზერაშვილი, ლევან შავაძე – ბზის ალურა (*Cydalima perspectalis*)
 აღმოსავლეთ საქართველოში _____ 50

ტრისტან ჯობავა – სოკო ფომა ტრახეოფილათი ლიმონ ქართულის,
 მეიერისა და დიოსკორიას ახალგაზრდა მცენარეების
 ხელოვნური დასენიანების შედეგები _____ 54

**Чачхиани-Анасашвили Нуну, Чабукиани Мэри, Чабукиани Рани –
 ЭКОНОМИЧЕСКИЕ ПРЕДПОСЫЛКИ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ
 ТЕХНОЛОГИЧЕСКОГО ПРОЦЕССА ОПРЫСКИВАНИЯ
 ПЛАНТАЦИЙ ФУНДУКА _____ 59**



ვაჟა თოდუა, ლეილა გიორგობიანი, დალი ბერიკაშვილი, სოფიო ცეციტაია – ფლავონოიდები, ფენოლები, კუმარინები, ტერპენები და მინერალური შენაერთები ველური ხილის შემადგენლობაში, მათი ქანობითი პროცესები და გამოყენება სამკურნალოდ	63
ელენე ხუციშვილი, მზია კურდღელია – ეთერზეთოვანი ვარდის ჯიშების კალმების დაფოსფიანების უნარი	72
Nino Kelenjeridze – THE IMPACT OF ORGANIC-MINERAL FERTILIZERS IN VINE LEAVES ON THE CONTENT OF MINERAL NUTRIMENT ELEMENTS	75
ალექსანდრა ჩაფიჩაძე, მაკა ყუბანეიშვილი – იმერეთის ვახის ჯიშები	77
ცირა ჟორჟოლიანი, ეზარ გორდაძე – მცირერიცხოვანი კოკულაციების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების პრობლემა საქართველოში	82
ნინო ყიფიანი – სიღერატებისა და მულჩირების გავლენა ციტრუსოვანთა ყინვაბამკლერობაზე	87
მაია ხელაძე – წყლის მიერ მქანნიკური მოქმედებით გამოწვეული ეროზიული მოვლენების ზოგიერთი საკითხი.	90
ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი, ნატალია სანთელაძე – იმერეთის ალუვიურ ნიადაგებზე გაშენებული ვეიკოას მავნებელ-დაავადებები და მათთან ბრძოლის ღონისძიებები	94
მზია კურდღელია – ფსტის კულტურის პერსპექტივა საქართველოში	97
დემეტრე ლიპარტია – ყავისფერი მარმარა ბაღლინჯო	101
ნარგიზა ალასანია – აჭარის ზღვისპირა რეგიონში ტემპერატურის გავლენა ლობიოსა და ბამიას აღმონაცენების მორფოლოგიურ მახასიათებლებზე	104
ნანა გოგიშვილი, ქეთევან კინწურაშვილი – სუბტროპიკული ხურმის მიკრობიოლოგიური გაფუჭების მიზეზების გამოკვლევა ტრანსპორტირებისას	108
მაყვალა ფრუიძე, ეკატერინე ბენდელიანი, შორენა ჩაკვეტაძე – ჩაის თანამედროვე ნედლეულის გამოკვლევა იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონში	113
Malkhazi Mikaberidze – POSSIBILITIES AND PROSPECTS OF BLANCHING AGRO RAW MATERIALS IN THE FIELD OF INFRARED RAYS	119
ეკატერინე ბენდელიანი, მაყვალა ფრუიძე – სვიის - <i>Humulus lupulus L.</i> , გავლენა ლუდის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე	122
Varlam Aplakov – THE ROLE OF WINE BASIC COMPONENTS IN LYSINE BIOSYNTHESIS DURING SECONDARY ALCOHOLIC FERMENTATION	128



თამარ ხუციძე, ელისო ჩიხლაძე – მწვანე ჩანის 50%-იანი წყლიანი ექსტრაქტის ანტიმიკრობული კვლევა სახის კანის კათობენურ მიკროორგანიზმებზე _____ 131

მაყვალა ფრუიძე, გიორგი ჩახნაშვილი – ეთერზეთების წარმოების შესაძლებლობები საქართველოში _____ 134

ეთერ ბენიძე, რამაზ კილაძე, იზა ოჩიკიძე – შუქ-ჩრდილების ურთიერთობები ლანდშაფტურ არქიტექტურაში _____ 139

ეკატერინა გუბელაძე – ძ. ქუთაისში ასათიანის ქუჩის გეგმარება და გამწვანების რეკონსტრუქცია _____ 144

ეთერ ბენიძე, რამაზ კილაძე, იზა ოჩიკიძე – პერსპექტივის კანონების გამოყენება მწვანე მშენებლობაში _____ 149

მარინა კუცია – ანთროპოგენული ტოქსიკაცია და ეკოლოგიური პრობლემები _____ 154

ქეთევან ქუთელია – მცენარეები ზოლიაქოს ნიშნების მიხედვით _____ 157

2 ბიზნესის ადმინისტრირება
BUSINES ADMINISTRATION
АДМИНИСТРИРОВАНИЕ БИЗНЕСА

ზეინაბ ახალაძე, მანანა შალამბერიძე – სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე მღვთმარეობა იმერეთის რეგიონში _____ 163

დალი სილაგაძე – საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მხარდაჭერა რეგიონის შემდგომად _____ 169

3 ინჟინერია
ENGINEERING
ИНЖЕНЕРИЯ

მერაბ მამულაძე, სოსო თავბერიძე – დიზელის საწვავზე მომუშავე მოტოციკლებში ვიბრაციის გამოკვლევა სხვადასხვა სახის საწვავი ნარევის მიწოდების შემთხვევაში _____ 177

მამუკა წიქორიძე – ნიადაგის მელორაციის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა _____ 183

სოსო თავბერიძე, ემზარ კილასონია, ზურაბ ციხაძე, თეიმურაზ ცხადაშვილი, ნესტან ბურჯალიანი – სატრაქტორო აბრეშაბის ძირითადი მახასიათებლების მოდელირების წანამდგომები სტატისტიკური დინამიკის თეორიის საფუძველზე _____ 186



4 **მომართულეკათეორისი ღარგეპი**
MULTIDISCIPLINARY BRANCHES
МЕЖДУДИСЦИПЛИНАРНЫЕ ОТРАСЛИ

Изоolda Xасая – СЕЛЬСКИЙ ТУРИЗМ, КАК СТРАТЕГИЯ РАЗВИТИЯ
РЕГИОНА ИМЕРЕТИ, ГРУЗИЯ _____ 195

სერგო ცაგარეიშვილი, აკაკი ნასყიდაშვილი, მათა დიაკონიძე – ტურისტულ-
რეკრეაციული საქმიანობა იმერეთის რეგიონში _____ 202

გიორგი ჯაბნიძე – აბრტურიზმის მნიშვნელობა სოფლის მოსახლეობის
სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში _____ 207

1 აგრორული მეცნიერებანი AGRICULTURAL SCIENCES АГРАРНЫЕ НАУКИ





**საქართველოს მცენარეთა სამყაროს მღვობარეობა,
 რაციონალური ბამოყენებისა და ღაცვის პრობლემები**

ემზარ გორდაძე

ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ცირა ჟორჟოლიანი

ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

მცენარეულობა ბიოსფეროს მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომლის გარეშე სიცოცხლე დედამიწაზე შეუძლებელი იქნებოდა. მცენარეულობაზე მსოფლიო ბიოლოგიური რესურსების თითქმის 99% მოდის. დღეს მცენარეთა სახეობების რაოდენობა დედამიწაზე 0,5 მილიონია, რომლებსაც მრავალმხრივი დანიშნულება აქვს. დაწყებული ეკონომიკურიდან ასევე კვებითი, ჯანდაცვითი, ბუნებისდაცვითი, ესთეტიკური, რეკრეაციული და სხვა ფუნქციებით დამთავრებული.

საქართველოს ფლორისტულად მდიდარი ქვეყანაა, სადაც 4200 სახეობის მცენარეა ცნობილი. 21% კავკასიის და საქართველოს ენდემია. საქართველოში 2000 სახეობის ხე და ბუჩქია, რომლებიც ქმნიან ძვირფას კორომებს, მცენარეულობით დაფარულია საქართველოს ტერიტორიის მესამედზე მეტი. ანუ ტერიტორიის 32%.

საქართველოში ისტორიული წყაროების მიხედვით განადგურებულია 600 ათასი ჰა ტყე, ხოლო 400 ათასი გამეჩხერებულია. აკადემიკოს გ. გიგაურის მონაცემებით, XIX-დან XXს-ის 60-იან წლებამდე საქართველოს ტყეებში ტარდებოდა სამრეწველო-ამორჩევითი ჭრა, რომლის დროსაც უხეშად ირღვეოდა ჭრის დადგენილი წესები. 1 ჰა-ზე ზოგჯერ 300-დან 500 მ³ ხე-ტყე იჭრებოდა, რაც ბევრად აღემატებოდა დადგენილ ნორმებს. აღნიშნული პროცესი არანაკლებ ინტენსიურად მიმდინარეობს დღესაც.

საქართველოში 4200-მდე სახეობის მცენარეა ცნობილი, რაც (თავის ფართობთან შედარებით) საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს შეადგენს. საქართველოში ორასზე მეტი სახეობის ხე და ბუჩქია, რომლებიც ქმნიან ძვირფას კორომებს, მათ საქართველოს ტერიტორიის მესამედზე მეტი (≈ 2873 ათასი ჰა) ანუ 32,6% უჭირავს.

საქართველოს მცენარეული სამყაროს მრავალფეროვნებასა და სიუხვეზე გავლენას ახდენს დამლაშებული ნიადაგების ფართობის ზრდა, ცხოველთა უკონტროლო მოვება, მერქნის მტაცებლური მოპოვება, ტყეების ჭრა. ტყეების განადგურებამ შესაბამისად შეამცირა ცხოველთა საკვები ბაზაც. საქართველოს ტყეებისთვის, დიდ საშიშროებას წარმოადგენს ხანძრები, რომლებიც არის, როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური წარმოშობის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბორჯომის ტყეებში 2007 წელის ბუნებრივი ხანძარი, რომელმაც საკმაოდ დიდ ფართობზე დააზარალა ტყის უნიკალური ეკოსისტემა. არანაკლები ზარალი მიაყენა საქართველოს ტყეებს 2008 წ. აგვისტოში რუსული აგრესიის შედეგად განვითარე-



ბულმა ხანძრებმა, რამაც ბორჯომის ხეობაში 250 ჰა-ზე ტყე მთლიანად გაანადგურა. 700 ჰა-ზე მოისპო ტყის 70%. დაზიანდა ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენა, 2-3-ჯერ შემცირდა მისი ორგანული მასა. ამავე პერიოდში ატენის ხეობაში გაჩენილმა ხანძარმა 50 ჰა მოიცვა, განადგურდა 16 000მ³ ხის მასალა. თბილისი-გორი-ხაშურის საავტომობილო გზის მონაკვეთზე 5 ჰა-ზე დაიწვა მწვანე ნარგავების რამოდენიმე ნაკვეთი.

საქართველო მთიანი ქვეყანაა და ტყის მასივები თითქმის მთლიანად მთების კალთებზეა განლაგებული. რის გამოც ტყეების თითქმის 99,3% მიეკუთვნება პირველ ჯგუფს. რომლის დანიშნულებაც რესურსული და გარემოს დამცავი ფუნქცია. დანარჩენი 0,7% განეკუთვნება მეორე ჯგუფს (შეზღუდული სამრეწველო ჭრის), რომელიც ძირითადად კოლხეთის დაბლობზეა გავრცელებული. მთლიანი ტყეების საერთო წლიური ნაზარდი – 3,83 მლნმ³-ია; ერთ ჰა-ზე 1,82მ³ საქართველოს ფლორის 21% ანუ 900 სახე ენდემურია.

საქართველოს ტყის ფონდის საერთო ფართობი 3 მლნ ჰა-ზე მეტია. აქედან ტყით დაფარულია 2,75 მლნ ჰა, ანუ 39,5%. ფოთლოვან ტყეებს უჭირავს 80%-მდე. წიწვოვნებს – 20%. ტყეების თითქმის – 97% მთის ფერდობებზეა განლაგებული. ზღვის დონიდან 500 მ-მდე სიმაღლეზე გავრცელებულია მთელი ტყეების 7,3%. 501-დან 1000მ-მდე 19,5%. 1001-დან 1500მ-მდე 33,5%. 1501მ-დან 2000მ-მდე 30,7%, ხოლო 2001მ-დან ზემოთ 7%. საქართველოს ტყეები ყოველწლიურად ბუნებაში დაახლოებით 19 მლნ ტ. ორგანულ ნივთიერებებს აწარმოებს.

ტყეების ფართობს საქართველო უსწრებს გერმანიას (30%), საფრანგეთს (24%), იტალიას (22%), შვეიცარიას (28%), ინგლისს (19%), აზერბაიჯანს (11,5%), სომხეთს (11,1%). უნდა აღინიშნოს რომ საქართველოში ტყეები უთანაბროდაა განაწილებული.

საქართველოში გავრცელებულია შემდეგი ტიპის ტყეები. საქართველოში **მუქწიწვოვან ტყეებს** ტერიტორიის 16 % უკავია. ძირითადი ჯიშებია: აღმოსავლური ნაძვი (6%), კავკასიური სოჭი (10%).

ფიჭვნარი ტყეები: კავკასიური ფიჭვისაგან (*Pinus sosnowkyi*) შექმნილი ფიჭვნარები თითქმის ყველგანაა გავრცელებული. **ბიჭვინთის ფიჭვი** შავი ზღვის სანაპიროებზე მიუსირიდან-გაგრამდეა გავრცელებული.

ფართეფოთლოვანი ტყეები: ლაფნარ-მურყანის ტყეები გავრცელებულია კოლხეთის დაბლობისა და კახეთის ჭარბტენიან ნიადაგებზე.

კოლხური პოლიდომინანტური ტყეები: ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში. ეს ტყეები გვხვდება აჭარა-გურიაში, ზემო იმერეთში, ასევე აფხაზეთში. მათში ხეებისა და ბუჩქების 50 სახეობა, ბალახოვანების 80 სახეობა გვხვდება.

წაბლნარი ტყეები - მას რესპუბლიკის ტყეები 15% უჭირავს. ისინი ზღვის დ-დან 2000-2200 მ-მდე ვრცელდებიან. განსაკუთრებით გვხვდება დასავლეთ საქართველოში აფხაზეთშიც და კახეთში.



მუხნარი ტყეები - საქართველოში რამოდენიმე სახეობის მუხაა გავრცელებული. გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

ზედა მთის ტანბრეცილი ტყეები გვხვდება 1700-1800 მ სიმაღლეზე; ესენი სიცივის ამტანი მცენარეებია.

არიდული ნათელი ტყეები - მათ სავანებთან აიგივებენ. აქ გვხვდება სარკმლის ხე, აკაკი, ქართულ ნეკერჩხალი, ბერყენა, ღვია, ძეძვი.

ჭალის ტყეები - ჭარბტენიანი ადგილების მცენარეულობას მიეკუთვნება. ჭალის ტყეებზე მთელი წლის განმავლობაში გავლენას ახდენს ნიადაგის დიდი ტენიანობა, ჭალის ანუ ტუგაის ტიპის მცენარეულობა შეიძლება შეგვხვდეს სტეპური ან ნახევრადუდაბნოს მცენარეულობის ფონზეც.

საქართველოში გვხვდება ასევე:

ფრიგანა - ქსერომორფული დაბალტენიანი, ბალიშა ფორმის ეკლიანი მცენარეულობაა. გვხვდება ივრის ზეგანზე შიდა და ქვედა ქართლში.

სტეპი - გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. საქართველოში გვხვდება სტეპები უროიანი და ვაციწვრიანი.

ნახევრადუდაბნოები - გვხვდება გარდაბნის მდამოებში და ელდარის ვაკეზე. წარმოდგენილია ავშნის და აზინდის ბიცობ ტერიტორიებთან ბალახეულობისა და ეფემერების დაჯგუფებით.

ჭაობის მცენარეულობა: ჭაობები ძირითდად გავრცელებულია კოლხეთის დაბლობზე. ზ. -დან 100 მ სიმაღლეზე, კოლხეთის დაბლობზე იგი წარმოდგენილია სფაგნუმისანი ჭაობებით. ჯავახეთში გვხვდება ისლიანი ჭაობები, პარკოსანი და ნაირბალახოვანი მცენარეები.

ბალახოვან ფორმაციებს მსოფლიოში დაახლოებით 5 მლრდ ჰა უჭირავს, რაც ხმელეთის 1/3 შეადგენს. საქართველოში პირდაპირი სარგებლობის სათიბები და სამოვრები შეადგენს 1638,4 ათას ჰა-ს. მათ შორის სათიბები 159,1 ათასი ჰა – 7,9%, ხოლო სამოვრები - 1479,3 ათასი ჰა ანუ 90,2%. ზამთრის სამოვრებს 310,6 ათასი ჰა, ზაფხულის 1168,7 ათასი ჰა. ზაფხულის სამოვრების ფართობი თითქმის 3,5-ჯარ მეტია ზამთრისაზე. ამ დროს ადგილი აქვს ზოგიერთი ადგილების პირუტყვით გადატვირთულობას, მოთელვას, ჩამორეცხვას, და დაკნინებას, ამიტომ თითქმის ყოველწლიურად ასეული ჰა საკვები სავარგულები დროებით ან სამუდამოდ გამოდის სამეურნეო ფონდიდან. სათიბ-სამოვრები ასევე შეიცავენ მრავალი სასარგებლო თვისებების მქონე (სამკურნალო, თაფლოვან, დეკორაციულ და სხვ.) მცენარეებს, რომლითაც მდიდარია საქართველო, ასევე ისინი არეგულირებენ ზედაპირულ ჩამონადენს, იცავენ ნიადაგებს ჩამორეცხვისაგან და ა. შ.

ტყე და სხვა მცენარეულობა ადამიანის სასიცოცხლო ბუნებრივი გარემოს მნიშვნელოვანი კომპონენტებია. მათი დაცვა პრაქტიკულად მთელი გარემოს და ადამიანის ჯან-



მრთელობის დაცვა. განსაკუთრებით ყურადღებას საჭიროებს სამკურნალო, ტექნიკური, საკვები, გამწვანებასა და მეყვავილეობისათვის გამოსაყენებელი მცენარეების გამრავლება, დაცვა და რაციონალური გამოყენება.

ტყეების დაცვა-განახლების ღონისძიებათა კომპლექსში მნიშვნელოვანია:

- ხელოვნური ტყე-პარკების გაშენება, ჭრის რეგლამენტირება იმგვარად, რომ იგი არ აღემატებოდეს ტყეების განახლების მაჩვენებელს.

- დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაკრძალების, აღკვეთილებისა და ეროვნული პარკების ქსელის გაფართოებას;

- მნიშვნელოვანია ხე-ტყის მეურნეობის გონივრული წარმართვა;

- ტყის ეკოლოგიურად და ეკონომიურად უსაფრთხო ექსპლუატაცია,

- პროფილაქტიკურ-სანიტარული ჭრა, ტყეების რაციონალური გამოყენება და ბრძოლა დანაკარგებთან,

- ტყეების შედგენილობის განახლება და გაუმჯობესება, სწრაფმზარდი და მაღალპროდუქტიული ჯიშების დანერგვა.

- ეკონომიკურ ეფექტს იძლევა ტყის რესურსების საშემუდ მოხმარების სანაცვლოდ მოსახლეობის ალტერნატიული ენერგორესურსებით უზრუნველყოფა.

- საქართველოს ტყეების შენარჩუნების მიზნით აუცილებელია მათი სრული ინტენტიზაცია, კატეგორიზაცია, მონიტორინგის სისტემის გაძლიერება.

- საჭიროა ტყეების ბუნებრივი განახლების პროცესისათვის ხელის შეწყობა. რისთვისაც მიზანშეწონილია საერთოდ შეჩერდეს ტყით სარგებლობის გრძელვადიანი ლიცენზიის გაცემა.

ტყეების დაცვა, მათი ხარისხობრივი გაუმჯობესება და რაციონალური გამოყენებისათვის ზრუნვა მუდმივი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საქართველოს „წითელი წიგნი“ (1982) რომლის მიზანია რესპუბლიკაში არსებული მცენარეული საფარის შენარჩუნება და დაცვა. მასში შეტანილია იშვიათი და გადაშენების პირას მისული 161 სახეობის მცენარე.

ამჟამად მომზადებულია იშვიათ და ენდემურ სახეობათა „წითელი ნუსხის“ (Red list) ახალი ვარიანტი IUCN-ის კრიტერიუმებისა და ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ხანგრძლივ ვადიანი სახელმწიფო პროგრამა, შეიცავს მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციებს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს ბიოლოგიური რესურსების დაცვასა და რაციონალური გამოყენების პრობლემის გადაჭრას, რაც ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების აუცილებელი პირობაა.



გამოყენებული ლიტერატურა

1. გიგაური გ. – საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნება თბ., 2000 წ.
2. კეცხოველი ნ. – საქართველოს მცენარეთა საფარი, თბ., 1900 წ.
3. ჟორჟოლიანი ც. გორდაძე ე. – ბუნებს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება (სახელმძღვანელო). ქუთაისი – 2010 წ.
4. ჟორჟოლიანი ც. გორდაძე ე. – ბიოკონსერვაცია და საქართველოს დაცული ტერიტორიები (სახელმძღვანელო). ქუთაისი, 2013 წ.

THE MODERN CONDITION OF THE PLANT WORLD OF GEORGIA. IT'S RATIONAL USE AND PROTECTION PROBLEMS

Emzar Gordadze

Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Tsira Zhorzholiani

Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Summary

According to historical facts, Georgia was a rich floristic Country, but its bar economic and predatory consumption markedly rescue the number of it.

Nowadays, 39,9% of the territory of Georgia is covered with forest, 97% is natural, 87% is mountain forest, 99,3% if existing forests are of the 1 group. 21% of Georgian flora (900 species) is endemic.

The use of environmental and natural resources of Georgia's long-term state program aims at the protection of natural resources and its rational use.

СОВРЕМЕННОЕ СОСТОЯНИЕ РАСТИТЕЛЬНОЙ СРЕДЫ ГРУЗИИ, ПРОБЛЕМЫ ЕЕ ЗАЩИТЫ И РАЦИОНАЛЬНОГО ИСПОЛЬЗОВАНИЯ

Гордадзе Эмзар

Ассоциированный Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Жоржоллиани Цира

Ассоциированный Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Резюме

Согласно историческим фактам, Грузия представляла собой страну с богатой флорой, неэкономное и хищническое использование, которой снизило ее количество.

В Грузии известны около 4200 видов рек . Ныне лесами покрыты 39, 9% территории Грузии, 97% которых естественные, 87%- горные леса, 99,3% существующих лесов являются лесами первой группы, 21% флоры Грузии- /900 видов/ эндемичные.

Целью долгосрочной государственной программы охраны природной среды и природных ресурсов Грузии является охрана этих природных ресурсов и их рациональное использование.